ტრენინგი ჯანდაცვის მუშაკებისთვის

ქალის მიმართ ფიზიკური, ფსიქოლოგიური და სექსუალური ძალადობის გამოვლენის, მკურნალობის პრინციპებისა და რეფერალის საკითხებზე

ტრენინგის ჩატარების დრო: 7-9 ივლისი
ტრენინგის ჩატარების ადგილი: სასტუმრო „რჩეული მარანი“, თელავი

გვაქვს პატივი მოგიწვიოთ სსიპ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის (Atipfund) მიერ ორგანიზებულ ტრენინგზე, რომელზეც ეხება ჯანდაცვის სისტემის რეაგირების გაუმჯობესებას ოჯახში ძალადობაზე/ქალთა მიმართ ძალადობაზე.

გენდერული ნიშნით ქალის მიმართ ძალადობა წარმოადგენს არა მხოლოდ ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტს, არამედ მჭიდროდ უკავშირდება საზოგადოებრივი ჯანდაცვის საკითხებსაც გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნული სახის ძალადობა შესაძლოა აღმოჩნდეს გამომწვევი მიზეზი სხვადასხვა სახის ფიზიკური დაზიანებებისა, და/ან მაპროვოცირებელი ფაქტორი რიგი ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური პრობლემებისა. ამის გათვალისწინებით, ჯანდაცვის სისტემის, კერძოდ კი სამედიცინო დაწესებულებებისა და ჯანდაცვის მუშაკების რგოლი უაღრესად მნიშვნელოვანია ქალთა მიმართ ძალადობის/ოჯახში ძალადობის პრევენციისა და დაძლევის კუთხით.

სამედიცინო სფერო ერთ-ერთი პირველია, რასთანაც ძალადობის სავარაუდო მსხვერპლს უწევს შეხება, ამიტომ ძალიან დიდია ჯანდაცვის მუშაკების როლი და პასუხისმგებლობა ქალთა მიმართ ძალადობის შემთხვევების ამოცნობის, მათი დოკუმენტირებისა და მართვის კუთხით, რაც შესაბამისი სამედიცინო, თუ ფსიქოლოგიური დახმარების გაწევას, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, რეფერირების უზრუნველყოფასაც ითვალისწინებს. ექიმებს, განსაკუთრებით კი მეან-გინეკოლოგებსა და ოჯახის ექიმებს შეუძლიათ ითამაშონ მნიშვნელოვანი როლი ამ პროცესში და უზრუნველყონ ძალადობის უფრო სერიოზული ფიზიკური, ფსიქოლოგიური და სოციალური შედეგების პრევენციაც.

ოჯახში ძალადობის დროული გამოვლენის, მსხვერპლთა დაცვის, დახმარებისა და რეაბილიტაციის სწრაფი და კოორდინირებული საქმიანობის უზრუნველსაყოფად სახელმწიფოს მიერ შემუშავდა *ეროვნული რეფერალური მექანიზმი*, სადაც ნათლად გაიწერა და გაძლიერდა ჯანდაცვის სისტემის როლი ოჯახში ძალადობის დაძლევის კუთხით. აღნიშნული დოკუმენტის თანახმად საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო და სამედიცინო დაწესებულებები აღნიშნული მექანიზმის მონაწილე სუბიექტები არიან და დიდი პასუხისმგებლობა ეკისრებათ ოჯახში ძალადობის შემთხვევების ამოცნობის, დოკუმენტირების და რეფერალის პროცესში.

რეფერალურიი პროცედურების პრაქტიკაში დასანერგად ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდმა გაეროს მოსახლეობის ფონდთან (UNFPA) თანამშრომლობით დაიწყო პროექტის – „ჯანდაცვის რეაგირება ოჯახში ძალადობაზე /გენდერულ ძალადობაზე“ განხორციელება, რომლის მიზანია ოჯახში ძალადობის/გენდერული ნიშნით ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების მექანიზმების გაუმჯობესება ჯანდაცვის პერსონალის შესაბამისი მომზადების გზით. აღნიშნული ტრენინგები, სწორედ აღნიშნულ მიზანს ემსახურება.

შეხვედრა გაიმართება **7-9 ივლისს სასტუმროში „რჩეული მარანი“** (სასტუმროში შესვლა 7 ივლისს, 18:00 საათზე, გამგზავრება უკან - 9 ივლისს, 18:00 საათზე.

გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ მივლინებასთან დაკავშირებული ტრანსპორტირების ხარჯი თავად უნდა დაფაროს მონაწილემ; რაც შეეხება კვებას და და სასტუმროში განთავსებას, - ანაზღაურდება ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის მიერ.

მოსაწვევს თან ერთვის დღის წესრიგი.